




№ 2 (1252) თბილისი, იანვარი 1967

ცენტრალური გათვრება

საქსი

ლიახოვი ალექსანდრე ალექსანდრეს ძე.

დაიბადა 1939 წელს სულიგნად. 1966 წ. 28 აპრილს № 8 მარშრუტის ავტობუსში მიიღო ჩემოდნის ქურდის მაღალი კვალიფიკაცია. იმავე წლის 30 აპრილს, ცოდნის გადრმაგების მიზნით, გატეხა არმაგანიანის ბინა, ხოლო შემდეგ, ოგანოვის ბინის გაქურდვისთვის, მიიღო გამოუსწორებელი ქურდის ფრიადოსნის დიპლომი და სასწრაფოდ გადაყვანილ იქნა კოლონიაში 5 წლით. ამჟამად ლიახოვს ქურდობის დისკვალიფიკაციაზე ამუშავებენ.

მირილაშვილი იოსებ შალომის ძე დაბადებული 1920 წელს. რესპუბლიკის დასახურებული სპეკულანტი. მიღებული აქვს „ჯილდოები“ პროკურატურაში. მოუსვენარი აზრისა და ბუნების შემოქმედია. ან დგას და ვაჭრობს, ან „ზის“ და წერს პატიების არზეებს.



ამ ახალ ანდაზას საფუძვლად დაედო 1966 წლის 20 ივლისის ფაქტი: სათევზაოდ წასულმა ოთარ ზალიევმა ათეულის რიგში ბადე წყალში და, უიღბლობის გამო არც ერთხელ არ ამოაყალიბა ბადეს ოქროს თევზი. მაგრამ ამას მოჰყვა ზალიევის ნერვების კატასტროფიული მოშლა. ნერვების მოშლას სრულიად უდანაშაულო ამხანაგებთან აშლა, მერე დანის გაშლა...

მართალია, ზალიევმა ჩვეულებრივი მოსამშენი ბადით თევზი ვერ დაიჭირა, მაგრამ სამაგიეროდ თვითონ ამოაყიო თავი რკინისბადიან კამერაში.

ლორთქიფანიძე კმტრე აკაკის ძე დაბადა 1940 წელს თბილისის რაიონის სოფელ გუფში. უზრდელობის გამო გაზრდა ვერ მოასწრო, ცხრამეტი წლისა დაიჭირეს მაღაზიის გაქურდვისათვის, ვადაზე ადრე

ნ ა ნ ბ ა ს მ ა მ ა მ ნ ა ს ლ მ ჯ ე მ ა

გარეგნობა: მიაბიტი მყიდველებისთვის მიმზიდველი; სიმაღლე 7-8 მეტრი (ცნობა აღებულია პროკურატურიდან, სადაც მან საქმეში არსებულ 14 კვ. მ. დრაფზე განაცხადა, საპალტოედ ვიყიდეო). ოქროს მოყვარული ოქრო კაცი. უპოვეს ოქროს მონეტები. მასვე ეკუთვნის ფიგურალური გამოთქმა — „არ მომიპარავს, მიპოვნია!“

ქორვაჭრობის დიდი ორგანიზატორი. მაღალ დონეზე (თვითმფრინავით) მოაწყო იშვიათი საქონლის გადატან-გადმოტანა (მოსკოვიდან ჩამოიტანა 2000-მდე მეტრი კაპრონი), მაგრამ მაღალ დონეზევე (თვითმფრინავში) სცეს პატივი და მეშვიდე ცაზე ასული, სულწასული, თავგასული, ხელიდან წასული შალომას ბიჭი მეოთხედ შეიყვანეს ღაოთხილი ოთხ კედელში.

იახშივეი კამლუტ სერგოს ძე დაბადებული 1938 წელს. ისტორიისთვის დანიის მეფისწულ ჰამლეტს არაფრით ჩამოუვარდება ძველი დანისტი ჰამლეტ იახშივეი. ოთხკლასდამთავრებული პ. ს. იახშივეი ერთდროულად ათავსებს ერთმანეთთან ორ ხელობას — სხვის ჯიბეში ხელის ჩაყოფის ხელობასა და, ხელისშეშლის შემთხვევაში, ხელის გამოღების ხელობას.

1966 წლის 20 მაისს ჰამლეტმა ტრაგედიით ტურისტული მოგზაურობის დროს ჯიბეში ხელი ჩაუყო ალბერტ არუთინოვს. როცა „ორთითას“ ამის შესახებ მიუთითეს, მან იშიშვლა ორი თითი და, „ყოფნა-არყოფნის“ მაგიერ, წამოიძახა — „თვალეები დააწყეთ!“

ეს ახალი მონოლოგი 5 წლით შევიდა გამერული კონცერტების პროგრამაში.

ხაჟოშია ტრისტან ბაგრატის ძე დაბადებული 1944 წელს. მწერალი (იშვიათი ჟანრი). თუ მის შემოქმედებას დღემდე ფართო მკითხველი არ იცნობს, ეს იმიტომ, რომ ტრისტან ბაგრატის ძე ხაჟოშია ერთობ დიდ ჰონორარს მოითხოვს თავის თხზულებებში.

ისტორიას მაინც შემორჩა ერთი იშვიათი წერილობითი დოკუმენტი, რომელიც თვით ავტორის მიერ შეფასებულია შვიდი ათას მანეთად.

მოგვყავს ნაწყვეტი ამ ტრაგიკომედიიდან:

„თბილისის № 1 მექანიკური თონის გამგეს მიხეილ ვასილის ძე აბაიშვილს (პირადად ხელში მიშას!)

...ამა და ამ დღეს, ამა და ამ საათზე, ამა და ამ ადგილზე მოიტანე შვიდი ათას მანეთს, თორემ...“ (გაგრძელება იხ. სასამართლოში).

ზალიევი ოთარ ივანეს ძე დაბადებული 1940 წელს. საქართველოს სსრ სისხლის სამართლის კოდექსის ერთ-ერთი გმირი. სამჯერ ნასამართლევი. სამართლიანად დასჯილი. პეპოს შთამომავალი. მეთევზე. ო. ი. ზალიევის ეკუთვნის იშვიათი გამოკვლევა ქართულ ზეპირსიტყვიერებაში. ამ ორიგინალურმა მკვლევარმა ცნობილი გამოთქმის — „ცხენს ვერაფერი დააკლო, უნაგირი დაამტვრია“-ს მაგიერ ქართული ფოლკლორისტიკა შეავსო ახალი ანდაზით — „თევზს ვერაფერი დააკლო, სხვას ცხვირ-პირი დაამტვრია“.

გამოუშვეს და კვლავ აიშვა თავი: სახელდახელოდ შეკრიბა რაზმი და კვლავ შეეცადა მაღაზიის გაქურდავს.

ნიჭიერმა ახალგაზრდამ, მიუხედავად მისი კარჩაკეტილობისა, დამოუკიდებლად აითვისა რამდენიმე პროფესია. გარდა მძღოლობისა, იგი დაეუფლა ჩაკეტილი კარის უგასადებოდ გაღებას. ასევე მშვენიერად აითვისა მტვირთავის მძიმე ხელობაც და სახელმწიფო ქონების მაღაზიიდან მანქანაში გადატვირთვის ოპერაცია, რომელიც რთულ პირობებში მიმდინარეობდა (წვიმასა და სიბნელეში), მართოდმართომ, სულ რაღაც უმოკლეს დროში, ჩაატარა.

რადგან არაფერმა უშველა, კვლავ დაიჭირეს...

კოლონიაში ყოფნისას პეტრე აკაკის ძე ლორთქიფანიძემ კვლავ ახალი და ახალი პროფესიების ათვისებას მიჰყო ხელი, მაგრამ მის პრაქტიკულად გამოყენებას ახალი და ახალი სასჯელი ემატებოდა. პეტრე ძალიან შეეჩვია კოლონიაში ამხანაგებს და, ვინ იცის, იქნებ განგებ იხანგრძლივებს იქ ყოფნას.

ამჯერად 26 წლის ასაკის ჭაბუკმა სულ რაღაც შვიდიოდე წელიწადში, საერთო ჯამში, ოცდაცამეტნახევარი წლის პატიმრობას მიადგია. ეს სასჯელიც არის და პატარა სადღეგრძელოც. თუ ასე გაგრძელდა შემდგომშიც, სიცოცხლის გახანგრძლივების იშვიათ ნიმუშთან გვექნება საქმე.

ყველაფერი

თავისა

ნელა

აქვს

(იბაზ-არაბი)

ბატონმა დათვმა, ტრადიციას რაკი იცავდა, თავისი ბელის დაბადების დღე გადიხდა. დაპატიჟებულ სტუმართ წყება რომ მოეჯარა, ვინ ჩამოთვლიდა, ილღიაში ვის რა ეჩარა. მგლის საჩუქარი — საპალტოე ტრიკოტინისა მტერთა გულების გასახუთი იყო თილისმა. ჟღალწვერა ტურამ, რიგში იდგა მხეცი სხვა ათი, როცა ბელის წინ დაახეტიკა ოქროს საათი. რქადაგრებილმა, გრიგალივით სწრაფმა ირემმა, თავმოწონებით, ჩლიქოვანთა შორის პირველმა, მთლად გააკვირვა ერთგულ მხეცთა მთელი

ყრილობა —


მიართვა დათოს ძილის მთელი მოწყობილობა: წყვილი საწოლი, გარდერობი, მრგვალი მაგიდა... მისი მნახველი იფიქრებდა: „სულო, რა გინდა!“ რა არ აჩუქეს — ჩოხა-პალტო, კაბა-გვირისტი, ხუთი წლის სარჩო დაუხვავეს უფროსს ცხვირის წინ. შემდეგ ეტაპზე, დამერწმუნოს ყველა ამაში, ვერ აჯობებდა უფროსს ვერვინ ბანქოს თამაშში. მელამ წააგო ორას ოცი, მეელმა — რვაასი, კიდევ გაგრძელდა კარგახნობამდე მსგავსი ბაასი. როცა ყანწებზე მიდგა საქმე, დათვმა, თამადამ მექრთამეობის თემაზედაც გაიკამათა: „შერცხვესო ყველა უსინდისო, ქრთამის აზლები. მათ შორის თუნდაც თვითონ ჩვენი ამხანაგები, ვინც ჩვენ ხელს გვართმევს, ჩვენს შორის აქვს ტყეში

ადგილი,

თანამდებობა, სამსახური ფართო და თბილი, ან იშვერს ხელს და, ვით მოხოვარმა, ვით ქუჩის გლახამ

მოძმეთა შორის წამგლეჯობით ხეირი ნახა!“ მართალს ბრძანებდა ყანწოსანი უფროსი — დათვი, ყველაფერს ხომ აქვს თავის წესი, თავის ადათი?!

გ. ივანეშვილი



— თქვენ სულ ასე მიჩნხავთ, ბატონო, ლეჩხავს.
— თავის გაჩხვას ლეჩხავის ღაჩხვავ გერჩიოს.

სივი ზაპოტის სივა-სხელეა

მხოლოდ იმის გამო, რომ შეგულებასი გახლდით, ძალაუნებურად ვიტყვითე საოჯახო მეურნეობის ზედამხედველობა.

დავიდარაბა დიიწყო ასე: ერთ ჩვეულებრივ საღამოს რადიატორებმა დიპლო-მატური ურთიერთობა გაწყვიტეს გათბობის ცენტრალურ საჭეაბესთან. მეორე დღეს-ვე საქებაში გავჩნდი. უფროსმა უზარმაზარ ქვამზე მიმითითა.

— დუღს წყალი, ხომ?!

— კი, ბატონო!

— ჰოდა, მთელი ეს მდუღარე წყალი, აი, იმ ძილით ჩემს სახლში მოედინება. მჭირდება და რა ვქნა?

— ლობობის სარშავთ?

— ვაი, შენს პატრონს! მიაკითხე, მიძია, სახლმმართველს. ალბათ მაგი იპა-რავს შენს წილ მდუღარეს!

სახლმმართველმა ქვა ააგდო და თავი შემაშვერინა. ბოლოს გამომიტყდა:

— ბინის ქირას რომ არ მიხდით, სიცივით უნდა ამოგწყვიტო!

მთელი კვირა დავრბოდი მეზობლებში, ვათვინიერებდი ურჩ გადამხდელებს. გაიშრა სისხლი, ამომხდა სული და გათბა რადიატორებიც. ამოვისუნთქე-მეთქი, ვიფიქრე, მაგრამ ვინ გაცალა. გამოვარდა სააბაზანოდან სიდედრი და ცივი წყალი გადამასხა!

— ეს არის ცხელი წყლის საქმე გავაკეთეთ, რომ მოგვცალი ტრაპაზით?!

იმ საღამოს სამზარეულოში მეძინა. დილით კი, სახლმმართველის კაბინეტში დარჭობილი, შგლის თავზე სახარებას ვკითხულობდი:

— აბა, რას ჰგავს ეს! მუშა, რომელიც მთელი დღე 4 ღამასთან ტრიალებს, რიგინად თუ არ დაისვენებს, არ მიიღებს ცხელი წყლის აბაზანას, შესძლებს განა შეასრულოს საწარმოო დავალება 400 პროცენტით?!

სახლმმართველმა დროზე აუღო ალღო საუბრის აქცენტს და ტექნიკის გამოი-ძახა.

— ბიჭო! რატომ არ აქვს ამ პატროსან კაცს ცხელი წყალი?!

— სად ცხოვრობთ თქვენ?

— მესამე მასივი, მეოთხე კვარტალი, მეხუთე კოროუსი, მეექვსე სადარბაზო, მეშვიდე სართული, ბინა რვა!

ახლა ვზივარ და განცხადებას ვწერ დირექტორის სახელზე! „გთხოვთ ფასიანი შეგულებას შემოიცვალოთ უფასო სამუშაოთი“.

უცებ ატყდა წივილი-კივილი სააბაზანოში. შევრბივარ და რას ხედავს ჩემი თვა-ლები! დამდურულ-გაფუფქული ჩემი ბიჭი სიდედრს უჭირავს. ვეცი ცივი წყლის ონკანს, მაგრამ კრიჭა ვერ გავახსნევინე. იმ დამქს ოცდაათკილომეტრიანი ბოლო დაფარტყი ოთახში, მეორე დღეს კი ისეთი იერიში მივიტანე სახლმმართველზე, რომ საკაცით წამიღეს სახლში...

ამა შემდეგ ვშმაკები ჩამისახლდნენ ჩემი ახალგაზრდობის ფასად მოაოვებულ ბინაში, ზედიზედ გამოდიოდა მწყობრიდან მოტორიზებული სამეურნეო თუ კულ-ტურულ-საგანმანათლებლო-სააგიტაციო ტექნიკა, მაგრამ ბედი თურმე უარესს მიზ-ხადებდა! ერთ არამშვენიერ დღეს ერთდროულად გამოირთო სინათლე, გათბობა, და ცხელი წყალი...


ოჯახის მთავარსარდლობის დარტყმების წყალობით აღმოვჩნდი კომუნალური მეურნეობის სამყაროში, ვბრუნავდი ორბიტზე, რომლის აპოგეა იყო აღმასკონი — სახლმმართველობა, პერიგეა კი — საქება-თელასი; გავიარე 1000 კილომეტრი, 10-ჯერ შემოვუარე კომუნალური მეურნეობის სამყაროს, ბოლოს ორბიტიდან ამო-ჯარდი და შუბლმავართა ატმოსფეროში დავიწვი...

აბაპი მუხურაძე


ნახ. ლ. ბრისტაშვილი



„მადლობა ღმერთს, ძლივს მართო ღაგრჩი!“



ნახ. ჯ. ლოლუაშვილი



საქართველო

მართლმადიდებელმა გადაწყვიტეს: ადამიანობამდე ბევრი მაინც ალარ გვაკლია, მოდი, მაიმუნობას შევეშვათ და ადამიანებზე მოვიქცეთ. მათ სასწრაფოდ ჩაიცვეს კოსტუმები, გაიკეთეს სათვალეები და ხელში პორტფელები დაიჭირეს. დილით ერთმანეთს თავაზიანად ესალმებოდნენ. ამ დროს ჩამოიარა ლომმა, შეხედა მათ და თქვა: ნეტავი რას მაიმუნობენო.

ესწრებოდა. მელიამ იცოდა, რომ ეს სიტყვები ლომამდე მივიდოდა, ამიტომ საპასუხო სიტყვა ასე დაამთავრა: მე ლომთან შედარებით მხოლოდ მელია ვარო.

მართლმადიდებელი ლომი. ისეთ ქვეყანაში მოხვდა, სადაც იგი არასოდეს ენახათ. „დიდი კატა! დიდი კატა!“ — ყიჟინით შემოესვია ხალხი. ლომს არ ახსოვდა ადამიანებისგან ასეთი თბილი შეხვედრა და გულაჩუყებულმა თქვა: იმ ღმერთს რა ვუთხარი, ვინც მე ლომად გამაჩინაო.

მართლმადიდებელი ლომი და დიპლომატი ვირი. უნდა შეგვახსენო! — უთხრა ლომმა ვირს. დიპლომატი თუ გაქვსო, შეეკითხა ვირი. დიპლომატი არა მაქვს, მაგრამ საწარმოო სტაჟი მაქვს დიდიო, მიუგო უდიპლომო ლომმა და დიპლომატი ვირი დიპლომატიანად შეგამა.

მართი მგელი მეცხვარედ დანიშნეს და თან უთხრეს: ფარას კარგად თუ მოუვლი, დღეში თითო ცხვარს გაჭმევთო. მგელი ჩინებულად უვლიდა ფარას და ყოველდღე თითო ცხვარს მიირთმევდა, თან გუნებაში ფიქრობდა: რა მომგებიანი ყოფილა ადამიანობაო.

ზოთა ჩანტლამე

საქართველო

ჩემმა ცოლმა ერთხელ ასეთი სიზმარი ჩამიარაბა:

ვითომ საწყობში დაგნიშნეს, ეწეოდი სამსახურსა, დიდი კაცის შესაფერსა, ტკბილსა ვჭამდიო. ლუკმა-ბურსა. შიგადაშიგ ეშმაკობდი, დასტა-დასტა ჰკრავდი ფულსა, ახარებდი ამ ჩემს გულსა, შენთვის დამწვარ-დადაგულსა. ყიდვა უნდა საყიდელსა, მოხმარება უნდა ფულსა და ქალაქში გავემგზავრეთ იმ მეორე გაზაფხულსა. გყიდულობდი ჭრელ-ჭრელ კაბებს — ახატულსა, ჩახატულსა, კოსტუმებს და კოსტუმჩიკებს, ოქროსირმით დაქარგულსა, მერე მიიხრა ცოლმა ჩემმა: სიზმარს ნახულს კვირა დღესო ღმერთი უქმად არ ჩაავლენს, უსათუოდ ამიხდესო.

დილით მე ვუთხარი ასეთი სიზმარი: იცი წუხელ რა მესიზმრა? გვამება ვიცი გულსა:

თავს დამესხა რევიზია, მედავება გაფლანგულსა. და საწყობში რომ ვერ წახვს, ის, რაც წინათ მომხმარეს, თქვეს: აქ რაა ასაწერი, ავუწეროთ სახლი ბარემ და რაც მოხდა, ვაი, შენს მტერს, არის მგონი გასაგები: ჩამომართვეს საწყობის და ჩემი სახლის გასაღები და ცოლს ასე ჩავაგონე: ნახე, ტურფავ, როგორ ხდება? თუ ის სიზმარი აგვიხდა, მაშინ ესეც აგვიხდება!

კავია შიპიტაური



საქართველო

საქართველო

საქართველო

საქართველო

საქართველო

საქართველო

როგორ გავწინდეთ იბაბი

ვიღებთ ორ კილოგრამ თაფლის სანთელს (ცვილს, ანუ ფიჭას), ვადუღებთ 20 ლიტრა რეპარაციონთან თხის რძეში (შეიძლება ნუშის რძეც), თუ ამ უკანასკნელს ვერ ვიშვინთ, უკიდურეს შემთხვევაში, ზეთის ზეთიც გამოდგება. ამის შემდეგ ვშოულობთ ათ ლიტრა სავაიციო ბენზინს, მოვასხურებთ იატაკზე და ზევიდან მოვასხამთ ადუღებულ ხსნარს. თუ ბენზინი არ აფეთქდა, მაშინ საჭიროა გავკრათ ასანთი და პროცედურაც დამთავრებულად ჩაითვლება. სასურველია, ამ პროცესს მოხუცი-ბიც და ბავშვებიც ესწრებოდნენ.

როგორ ამოვიყვანოთ ლაქები

თუ თქვენ ქეიფში ბრძანდებით და გაუფრთხილებელმა დიასახლისმა თქვენს ქმარს თავზე ერთი მათლაფა საცივი ან ბაუი გადასახა და კოსტუმში დაუსვარა, ან კიდევ ჭირვეულმა თამადამ შავი ღვინით სავსე ყანწი შეასხა ცხვირ-პირში, თქვენ და თქვენი მეუღლე დაუყოვნებლივ დგებით სუფრიდან, მიდხართ სახლში, მეუღლე იხდის ტანზე, თქვენ ახვევთ დალაქიანებულ კოსტუმს გაზეთში, მიდხართ თათრის მოედანზე, მუხრანის ხიდთან, გაზეთში გახვეულ კოსტუმს აგდებთ მტკვარში, გადამყიდველებისაგან 800 მანეთად ყიდულობთ იაპონურ კრეპის კოსტუმს და სახლში ბრუნდებით.

ყოველივე ეს ისე სწრაფად და უმტკივნეულოდ ხდება, თამამად შეგიძლიათ მიუხსროთ იმავე ქეიფს.

როგორ შევწვათ კვირცხი

მარცხენა ხელისგულზე ვიდებთ კვერცხს, მარჯვენაში ვიდებთ დანას, ფრთხილად ვურტყამთ კვერცხს შუაში, ისე, რომ ნაჭუჭი ოდნავ გაიშვაროს. შემდეგ დანას ვდებთ თავის ადგილას, ფეხისწვერებზე ვუახლოვდებით ტაფას, კვერცხს ვიდებთ ორივე ხელით ისე, რომ მარჯვენა და მარცხენა მტევნების ცერა თითები ნაზარს დაეჭიანოს, შემდეგ ცერებს ფრთხილად გავწევთ ერთმანეთის საწინააღმდეგო მიმართულებით, კვერცხი შუაზე გაიხსნება და

შიშინით დაიდგება ამ დროისათვის უკვე ხაკმაოდ გახურებულ ტაფაზე. ნაჭუჭის ორივე ნახევარსფეროს ვაგდებთ სანაგვე უთში, ან პირდაპირ ეზოში. თუ კვერცხი ლაყე გამოდგა, მაშინ ვიდებთ მეორე კვერცხს და ასე შემდეგ..

რაკი მაღლი ვქენით, მარილის მოყრაც არ უნდა დაგვავიწყდეს.

როგორ გავუშაროთ ნემსი ძაფი

ნემსში ძაფის გაყრა გარკვეულ სიძნელეებთანაა დაკავშირებული, მაგრამ უკან არ უნდა დავიხიოთ. ჭერ შევამოწმოთ, ნემსი ვინმემ ხომ არ მოგვპარა. თუ მოპარულია, მას უთუოდ აქლემის ქურდი მოიპარავდა და ძებნას ყოველგვარი აზრი ეკარგება. დავუშვათ, ნემსი ადგილზე დავგვდეთ. მაშინ მარცხენა ხელში ვიჭერთ ნემსს და მარჯვენა ხელის ცერით ვუსინჯავთ წვერსა და ყუნწს. როცა საბოლოოდ დავრწმუნდებით, რომ ყველაფერი წესრიგშია, მხოლოდ იმ შემთხვევაში ვიდებთ თეთრი კოჭის ძაფს, ნერწყვით ვისველებთ ცერსა და შუათითს, რათა ძაფს მეორე ბოლო წაფუწვრილოთ. ამ ოპერაციის შემდეგ ნემსს ვაძლევთ პერპენდიკულარულ მდგომარეობას, ძაფს კი — ჰორიზონტალურს. ყოველად დაუშვებელია, ძაფს ნემსთან პარალელური მდგომარეობა მივცეთ, რადგან პარალელური ხაზები (ამ კონკრეტულ შემთხვევაში — ნემსი და ძაფი. პარალელური ხაზი ჩვენია) რამდენიც არ უნდა ვეცადოთ, ერთმანეთს არ გადაჰყვებიან, ანუ ნემსში ძაფი არ გაეყრება. ეს კარგად უნდა დავიხსოვროთ! მერე, ყოველგვარი ნერვიულობისა და ადრეულების გარეშე, ფრთხილად ვუახლოვებთ ძაფს მეორე წაწვრილებულ ბოლოს ნემსის ყუნწს. თუ ძაფი ნემსის ყუნწში მაინც არ გაძვრა, ე. ი. თვალს გვაკლია და ჩვენ თვითონ უნდა გავძვრეთ ნემსის ყუნწში: დავუძახოთ მეზობლის ბავშვს და ვთხოვოთ, შვილო, შენს გაზრდას, თვალს მაკლია და ნემსში ძაფი გამიყარო.

როგორ ამოვწავოთ ძროხა

ძროხა რომ მოვწველოთ. ჭერ უნდა ვაბალახოთ, ან ვაჭამოთ ჩალა და პირში ჩალაგამოვ-


ლებული დავტოვოთ. საღამოს მივებათ ბეზე (შეიძლება ბოძეც). ავიღოთ დიდი ქოთან (შეიძლება ვედროც), გამოვავლოთ წყალი და დავდგათ ისე, რომ მოსაწველი ძროხის უკანა მარჯვენა ფეხთან ტრაპეციას ჰქმნიდეს, წინა მარცხენა ფეხთან კი — პირამიდას. მერე ავუშვავთ ხბო და გამოვადგინოთ მშობელი, ვისარგებლოთ ღებვის პროცესით, დავიხანოთ ორივე ხელი და კარგად შევიშვრალით. ამის შემდეგ ბავშვს დავაჭერინოთ ხბო, ჩავიმუხლოთ ან ჩავჭდეთ ძროხის მარცხენა მხარეს და ხელეების სწრაფი მოძრაობით დავიწყეთ ჩამოწვლა. ვეცადოთ, ქოთანი არ წავგვექცეს, თორემ მოსალოდნელია რძის დაღვრა. ქოთანი რომ გაივსება, შევწყვიტოთ წველა და ხბოს მივცეთ გასაქანი..

ზუსტად ასევე მოიწველება თხაც, ოღონდ შედარებით პატარა ქოთანი (ან ვედრო) უნდა ავიღოთ.

როგორ გავლაზოთ ბავშვი

ბავშვი რომ გავლაზოთ, აუცილებელია იგი გვყავდეს ერთი მაინც (მეზობლის ბავშვს ხელს ნუ ახლებთ, ყველამ თავისი ბავშვი გალაზოს), მაგრამ რაკი ბავშვის უმიწეოდ გალაზვა პედაგოგიური თვალსაზრისით მიწანეუწონელია, მიწეზე ხელოვნურად უნდა შევქმნათ; ჩუმად ავიღოთ ჩურჩხელა ან თხილი და გამოწვევად დავდოთ დაბალ მაგიდაზე, მერე, ვითომდა აქ არაფერია, დავუძახოთ ბავშვს: შვილო, მე ბაზარში წავალ და აბა შენ იცი, რა ჭკუით იქნები! სინამდვილეში კი დავიხანოთ მესამე (უმჯობესია მეხუთე) ოთახში. როცა ბავშვი სახლიდან წასულად დავგივულებს, უეჭველად მივარდება მაგიდასთან, აიღებს თხილს ან ჩურჩხელას და დაუწყებს ჭამას. ამ დროს ფეხკრეფით გამოვიდეთ, მივებაროთ ბავშვს და დავიჭიროთ. მერე ავიღოთ თხილის წკეპლა ან ხელი და გავლაზოთ ბავშვი შეხედულებისამებრ. თუ ტირილი მორთო, დავაშინოთ შემდეგი სიტყვებით: „გაწუმი, შე წუწკო, თორემ მოვა მამაშენი და უარესს გიჯამს!“

კონსულტანტი ნინო ნინო






მეტამორფოზა

ნახ. ვ. მამულიშვილისა.

მეტაგარი რედაქტორი ნოდარ ღუმბაძე. საარედაქციო კოლეგია: ზ. გოლჭავაძე (პ/მ. მდივანი), ს. კლდიაშვილი, ნ. მაღალაშვილი, ბ. ნიშენიანი (მთავ. რედ. მოადგილე), ნ. შველიძე, ო. ჭელიძე. საბჭოთა და იუბილური ჟურნალი „ნიათი“

თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 42. ტელ. 9-76-69, 3-10-78. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Ниянти“. ს.პ. ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა. ხელმოწ. დასაბ. 11/1 1967 წ. ჯალ. ზომა 70x108/16. 0,5 ნახ. ზურ. 1,37. ფიზიკურ ფორმატა რაოდენობა 0,5 გიგაბიტ ფორმატა რაოდ. 1. ს.პ. ც. ც. ც. გამომცემლობის სტამბა № 1. ლენინის ქ. № 14. შპ. 33. № 1. შპ 01910 ბირაბი 64.000



ԿՐԻՍՏԻՆԱ ԼՈՒԻՅԱ

